



სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

დავით აღმაშენებლის გამზირი №150
0112 თბილისი, საქართველო
+995 32 2439503 / +995 32 2439510
info@nea.gov.ge
nea.gov.ge

26 მარტი 2024



N 21/3117

შპს „რუსთავის ფოლადს“

მის: : ქ. რუსთავი, გაგარინის ქ. N12

ელ. ფოსტა: contacts@rustavisteel.ge

ასლი: სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარმოდგენილი თქვენი N12865 განცხადება, რომელიც ეხება ქ. რუსთავში, შპს „რუსთავის ფოლადის“ მეტალურგიული საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებას და გაცნობებთ შემდეგს:

- გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, საწარმო განთავსებულია ქ. რუსთავში, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე (ს/კ: 02.07.04.764; 02.07.04.014; 02.07.02.486). მონაცემთა გადამოწმებით დგინდება, რომ შეიცვალა 02.07.04.764 ნაკვეთის საკადასტრო კოდი (ს/კ 02.07.04.816), რაც საჭიროებს განახლებას/კორექტირებას;
- გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, საწარმოს მთლიანი ფართობი შეადგენს 3162265 მ²-ს, თუმცა მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით დგინდება, რომ სამი მიწის ნაკვეთის საერთო ფართობი შეადგენს 3828329 მ²-ს. შესაბამისად, საწარმოს ფართობი საჭიროებს დაზუსტებას;
- გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, ახალი 35 ტ/სთ ელექტრორკალური ღუმელის ამოქმედების შემდეგ, საწარმოს მაქსიმალური წლიური წარმადობა გახდა 280 000 ტ (35 ტ/სთ x 8000 სთ/წელ = 280 000 ტ/წელ). ამასთან, დოკუმენტაციის თანახმად, საწარმო მუშაობს წელიწადში 330 დღე, 24 საათიანი გრაფიკით (7920 სთ/წელ). შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს საწარმოს სამუშაო რეჟიმი და 35 ტ/სთ ელექტრორკალური ღუმელის მაქსიმალური წლიური წარმადობა;
- გზშ-ის ანგარიშის 4.3.1.5 ქვეთავში აღნიშნულია, რომ ახალი საურნალე საამქრო მოწყობილია ელექტროფოლადსადნობი საამქროს მიმდებარედ არსებულ საწარმოო დანიშნულების შენობაში, ხოლო საამქროს GPS კოორდინატებია: X=502861, Y=4596725. 4.3.1 ქვეთავში მოცემული ინფორმაციის თანახმად, აღნიშნული საამქროს GPS კოორდინატებია: X=502100, Y=4598047. ამასთან, დოკუმენტში წარმოდგენილი სიტუაციური სქემებისა და გენ-გეგმების, ასევე საურნალე საამქროების და საკაზმე ეზოების განლაგების სქემაზე (სურათი 4.3.1.1) წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, GPS კოორდინატებით X=502861, Y=4596725 განსაზღვრულ ადგილას ფიქსირდება ძველი საურნელე საამქრო. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დაზუსტებას საჭიროებს ახალი საურნელე საამქროს განთავსების ადგილი, GPS კოორდინატების მითითებით;
- წარმოდგენილ უნდა იქნას ქარხნის ექსპლუატაციის/დემონტაჟის პროცესში წარმოქმნილი ნარჩენებისა და მათი მართვის საკითხების შესახებ (მათ შორის სამშენებლო/ინერტული

ნარჩენების, ასევე წილის, ხენჯის, მტვერდამჭერი წარმოქმნილი მტვრის შესახებ) სრულყოფილი ინფორმაცია;

- გზშ-ის ანგარიშში აღნიშნულია, რომ „აირმტვერდამჭერი სისტემიდან მიღებული მტვრის დასაწყობება ხდება, ელექტროფოლად სადნობი საამქროს კომპლექსში არსებულ დახურულ სათავსოში ნაყარის სახით და შემდგომი მართვის მიზნით გადაეცემა ამ საქმიანობაზე შესაბამისი უფლებამოსილების მქონე კონტრაქტორს.“ თუმცა, ცხრილში 12.3.6.6 მოცემული ინფორმაციის თანახმად, ფილტრებზე დაჭერილი მტვერი ერევა წიდას და მასთან ერთად გადამუშავდება წიდასაყარზე. ამასთანავე, გაცნობებთ, რომ „ნარჩენების მართვის კოდექსის“ თანახმად, ნარჩენები შესაძლებელია დასაწყობდეს 3 წელზე ნაკლები დროით, თუ ნარჩენები განკუთვნილია აღდგენისთვის, ან 1 წელზე ნაკლები დროით, თუ ნარჩენები განკუთვნილია განთავსებისთვის და ზიანი არ მიადგება გარემოს და ადამიანის ჯანმრთელობას. შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს აირმტვერდამჭერი სისტემიდან მიღებული მტვრის საბოლოო მართვის საკითხი, მათ შორის საწარმოს ტერიტორიაზე დროებით განთავსების საკითხი (განთავსების პირობები და დაგროვების მაქსიმალური რაოდენობა) და ტერიტორიიდან გატანის პერიოდულობა;
- წარმოდგენილ უნდა იქნას სრულყოფილი ინფორმაცია საწარმოში გადასამუშავებლად მიღებული ნარჩენების (მათ შორის წილის) შესახებ (კოდი, დასახელება, რაოდენობა და შემდგომი მართვა). ასევე, ნარჩენი წილის გადამუშავების შემდგომ მიღებული ნარჩენების (კოდეები, დასახელებები, რაოდენობა და შემდგომი მართვის ღონისძიებები, გადამუშავების ტექნოლოგიური ციკლის ჩათვლით) შესახებ. ამასთან, გზშ-ის ანგარიშის თანახმად, გადამუშავების შემდგომ მიღებულ არამეტალურ ფრაქციას გაუკეთდება რეალიზაცია შემდგომი გამოყენების მიზნით. შესაბამისად, ზემოაღნიშნული ნარჩენების შესახებ წარმოდგენილ უნდა იქნას სრულყოფილი ინფორმაცია მათი საბოლოო მართვის შესახებ (ვინ უზრუნველყოფს აღნიშნული ნარჩენების საბოლოო დამუშავებას);
- გარდა ამისა, გზშ-ის ანგარიშის ცხრილში 12.3.6.1 მოცემული ინფორმაცია შპს „რუსთავის ფოლადის“ ფუნქციონირების პროცესში წარმოქმნილი ნარჩენების შესახებ (აღდგენა/განთავსების ოპერაციები და გადამუშავების ტექნოლოგია (R5-ის შემთხვევაში)) საჭიროებს დაზუსტებას;
- გზშ-ის ანგარიშში განხილულია წიდასაყარზე ნარჩენების განთავსების საკითხი. გაცნობებთ, რომ ტერმინი „წიდასაყარი“ ნარჩენების მართვის კანონმდებლობებით არ არის გათვალისწინებული. „ნარჩენების მართვის კოდექსის“ თანახმად, ნარჩენების განთავსების მიზნით უნდა მოეწყოს შესაბამისი ნაგავსაყრელი ან/და ნარჩენების დროებითი განთავსების ობიექტი, რომელიც რეგულირდება საქართველოს კანონი ნარჩენების მართვის კოდექსისა და საქართველოს მთავრობის 2015 წლის 11 აგვისტოს N421 „ნაგავსაყრელის მოწყობის, ოპერირების, დახურვისა და შემდგომი მოვლის შესახებ“ დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად;
- გზშ-ის ანგარიშში აღნიშნულია, რომ „ნახშირბად მაგნეზიტის და შამოტის ცეცხლგამძლე აგურების ნარჩენები გადაირჩევა, ვარგისი გამოიყენება ისევ ციცხვებისა და ღუმელების ასაშენებლად გამოუსადეგარი აგურის ნარჩენები (დაახლოებით 50%) გადამუშავდება წიდასაყარზე.“ ზემოაღნიშნული ინფორმაცია საჭიროებს დაზუსტებას და გამოუსადეგარი აგურის ნარჩენების გადამუშავების და შემდგომი მართვის შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის წარმოდგენას;
- სკოპინგის დასკვნის თანახმად, გზშ-ის ეტაპზე წარმოდგენილი უნდა იქნას დაზუსტებული ინფორმაცია ნარჩენების სეპარირებული შეგროვების, შემოსული ჯართის შემოწმება-კლასიფიკაციის და ა.შ შესახებ, რასთან დაკავშირებითაც აღნიშნულია, რომ „შემარბილებელი ღონისძიებების გეგმით და ნარჩენების მართვის გეგმით გათვალისწინებულია ნარჩენების სეპარირებული შეგროვების სისტემის დანერგვა და უპირობო შესრულება.“ დაზუსტებას

საჭიროებს საწარმოს ტერიტორიაზე წარმოქმნილი ნარჩენების შეგროვების ამჟამინდელი მდგომარეობა;

- გზშ-ის ანგარიშის 4.2 ქვეთავში აღნიშნულია, რომ ელექტროფოლადსადნობ საამქროში ახალი ღუმელის ამუშავებამ გაზარდა როგორც ნედლეულის (ფოლადი), ისე ქარხნის მიერ გამოშვებული პროდუქციის ასორტიმენტი და რაოდენობა. ამასთან, მითითებულია საწარმოს ფაქტობრივი სიმძლავრეები, სადაც ასევე მოცემულია ჩანაწერი - „პროდუქციის ზრდის პერსპექტივით“, რაც საჭიროებს განმარტებას. კერძოდ, აღნიშნული ჩანაწერი მოიაზრებს სამომავლოდ ექსპლუატაციის პირობების ცვლილების საჭიროებას წარმადობის გაზრდასთან დაკავშირებით, თუ გზშ-ის ანგარიშში მოცემულია უკვე გაზრდილი წარმადობები;
- საფასონო-სამსხმელო (საჩამომსხმელო) საამქროს აღწერის ქვეთავში აღნიშნულია, რომ „დღეისათვის, საამქროში არსებულ ღუმელებს აირგამწმენდი სისტემები არ გააჩნია და შპს „რუსთავის ფოლადი“ გეგმავს აირგამწმენდი სისტემების მოწყობას და ექსპლუატაციას. გაწმენდილი აირმტვერნარევის ატმოსფეროში გაფრქვევა მოხდება არსებული 15 მ სიმაღლის მილის საშუალებით.“ სკოპინგის ანგარიშში მოცემული ინფორმაციის თანახმად, 15 მ სიმაღლის მილი უმოქმედო მდგომარეობაში იმყოფებოდა. შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს აირგამწმენდი სისტემების მოწყობის პერიოდისა და 15 მ სიმაღლის მილის ამჟამინდელი მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია;
- გზშ-ის ანგარიშში მოცემულია ინფორმაცია საწარმოში არსებული როგორც მოქმედი ღუმელების, ასევე სარეზერვო დანიშნულებით ფუნქციონირებისთვის განკუთვნილი და დროებით მოქმედება-შეჩერებული ღუმელების თაობაზე. გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან, წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია ყველა იმ ღუმელის შესახებ, რომელთა გაფრქვევის მაჩვენებლები საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №413 დადგენილების შესაბამისად ექვემდებარება თვითმონიტორინგის წარმოებას უწყვეტი ინსტრუმენტული მეთოდით და ასევე ინფორმაცია, მათი უწყვეტი მონიტორინგის სისტემით აღჭურვის თაობაზე. აღნიშნული ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ასევე ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტში, რომელშიც განსაზღვრული იქნება თითოეული სტაციონარული წყაროს შესაბამისად დადგენილი ზღვრული მნიშვნელობები;
- გზშ-ის ანგარიშის 4.3.4 ქვეთავში („სორტული გლინვის საამქრო“) აღნიშნულია, რომ საამქროში არსებობს 25 ტ/სთ წარმადობის ძველი ღუმელი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში გამოყენებული იქნება სარეზერვოდ (43 ტ/სთ წარმადობის ღუმელის ნაცვლად). ამასთან, ცხრილში 9.1. აღნიშნულია, რომ 15 ტ/სთ წარმადობის ღუმელი სარეზერვოა და მისი გამოყენება შეიძლება მოხდეს მხოლოდ ახალი 43 ტ/სთ წარმადობის ღუმელის დაზიანების შემთხვევაში. დაზუსტებას საჭიროებს ძველი ღუმელის წარმადობა;
- სკოპინგის დასკვნის მიხედვით, ინსპექტირების მასალებით დადგინდა, რომ მილსაგლინავ საამქროში არ არის ვენტილაციის სისტემა, საამქროს შენობაში გამოყოფილი მავნე აირების ორგანიზებული აერაციული ფარებიდან ატმოსფეროში გაფრქვევისათვის. აღნიშნულთან დაკავშირებით, გზშ-ის ანგარიშში მითითებულია, რომ „მილსაგლინავ საამქროში არსებული ღუმელების ნაწილი აირები გაიფრქვევა საკვამლე მილის საშუალებით, ხოლო არაორგანიზებული ემისიების გაფრქვევა ხდება ბუნებრივი გზით აერაციული ფარების (სარკმელების) საშუალებით.“ თუმცა ანალოგიური ინფორმაცია მოცემული იყო სკოპინგის ანგარიშშიც. შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს ვენტილაციის სისტემის შესახებ განახლებული ინფორმაცია;
- გზშ-ის ანგარიშის თანხმად, საწარმოდან 500 მეტრიანი რადიუსში ფუნქციონირებს შემდეგი საწარმოო ობიექტები: შპს „ჯეოსთილის“ მეტალურგიული საწარმო, შპს „ბულატის“ ფეროშენადნობთა საწარმო, შპს „რუსელოის“ ფეროშენადნობთა საწარმო, სს რუსთავოილის“

ნავთობგადამამუშავებელი საწარმო, შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ ცემენტის საწარმო, შპს „ნიუ პლასტიკ ჯი“, სს „ე უ ინვესთმენტი“, სს „მეტალურგრემონტი“, შპს „მილენიუმ ქონსტრაქშენი“, შპს „კავკასპაკი“, შპს „ქვები“ შპს „რუსთავი“, შპს „4ჯ“ და შპს „გზატკეცილი“.

თუმცა არ არის წარმოდგენილი ყველა ზემოთ ჩამოთვლილი საწარმოს საქმიანობის შესახებ ინფორმაცია;

- გზმ-ის ანგარიშის ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაბნევის ქვეთავში აღნიშნულია, რომ „ვერ იქნა მოძიებული მშრალი წესით ცემენტის წარმოების ქარხნის დოკუმენტაცია, რომელიც განთავსებულია შპს „რუსთავის ფოლადის“ საზღვრიდან 500 მეტრის რადიუსში.“ დაზუსტებას საჭიროებს მშრალი მეთოდით ცემენტის წარმოების ქარხნის შესახებ ინფორმაცია, სიტუაციურ სექმაზე დატანით;
- გზმ-ის ანგარიშის ხმაურის გათვლების თავში აღნიშნულია, რომ გაანგარიშების შედეგების მიხედვით, საწარმოს ტერიტორიის სამხრეთის მხარეს მდებარე დაწესებულების საზღვართან, ადგილი აქვს ღამის საათებისათვის დადგენილი ხმაურის გავრცელების დონის გადაჭარბებას. ამასთან, გზმ-ის ანგარიშის თავში 6.9 (კუმულაციური ზემოქმედება), აღნიშნულია, რომ უშუალოდ საწარმოს საზღვრებზე ჩატარებული გაზომვების შედეგების მიხედვით, ხმაურის გავრცელების დონეები არ აჭარბებს ნორმირებულ მნიშვნელობებს. შესაბამისად, მოცემული ინფორმაცია საჭიროებს დაზუსტებას;
- გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ განხორციელებული შემოწმებისას გამოვლენილი დარღვევების აღმოსაფხვრელად შპს „რუსთავის ფოლადს“ დაევალა საწარმოში შემოტანილ ნედლეულზე და ასევე გატანილ პროდუქციაზე რადიაციული გამოსხივების ინსტრუმენტული მონიტორინგის განხორციელება გეგმის შეთანხმებიდან არაუგვიანეს 2 თვის ვადაში. რაზეც კომპანია განმარტავს, რომ „რადიაციული გამოსხივების ინსტრუმენტული მონიტორინგი დღეისათვის კომპანიაში არ ხორციელდება. მაგრამ გათვალისწინებულია შესაბამისი აპარატურის შეძენა და დამონტაჟება.“ დაზუსტებას საჭიროებს როდის იგეგმება ინსტრუმენტალური მონიტორინგის განხორციელება;
- გზმ-ის ანგარიშის თანახმად, საწარმოს ტერიტორიაზე, მათ შორის წიდის დროებით განთავსებისა და ჯართის მიღება-დამუშავების ღია უბნებზე სანიაღვრე წყლების შემკრები სისტემა მოწყობილი არ არის, გარდა სატრანსპორტო განყოფილებისა, რომლის სანიაღვრე წყლები ჩართულია გარდაბნის რეგიონული გამწმენდი ნაგებობის მიმყვან კოლექტორში.“ შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს საწარმოს ტერიტორიაზე, მათ შორის წიდის დროებით განთავსებისა და ჯართის მიღება-დამუშავების უბნებზე წარმოქმნილი სანიაღვრე წყლების შემდგომი მართვის საკითხები;
- გზმ-ის ანგარიშის თანახმად, საწარმოში შემოტანილი ჯართის დასაწყობებისას ხდება ვიზუალური შემოწმება ფეთქებად საშიშროებაზე. დაზუსტებას საჭიროებს როგორ ხდება ფეთქებად-საშიშროების ვიზუალური დათვალიერებით განსაზღვრა;
- გზმ-ის ანგარიშში აღნიშნულია, რომ „უწყვეტი მონიტორინგის სისტემა მოწყობილია ახალი 35 ტ/სთ წარმადობის ელექტროფოლად სადნობი ღუმელის გამფრქვევ მილზე. საწარმოში არსებული სხვა ღუმელებზე უწყვეტი მონიტორინგის სისტემების მოწყობის გეგმა გრაფიკი მოცემულია შემარბილებელი ღონისძიებების გეგმაში.“ შემარბილებელი ღონისძიებების 6.2.7 ქვეთავში მოცემული ინფორმაციის თანახმად, მილსაგლინავ საამქროში, სორტული გლინვის საამქროში და საფასონე-სამსხმელო საამქროში 2024 წლის მე-3 კვარტალში დამონტაჟდება უწყვეტი მონიტორინგის სისტემა. თუმცა, გზმ-ის ანგარიშის მიხედვით, არსებული საწარმოები ამჟამად ფუნქციონირებენ. შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს საამქროების უწყვეტი ინსტრუმენტული მონიტორინგის სისტემის მოწყობის ვადის შესახებ დამატებითი ინფორმაცია (მათ შორის 35 ტ/სთ წარმადობის ელექტროფოლად სადნობი ღუმელის);

- გზშ-ის ანგარიშის 6.2.7 ქვეთავში აღნიშნულია, რომ „სამქროში, სადაც გამოიყენება სალესი (აბრაზიული) ქვების მქონე დანადგარები, აღიჭურვება ლოკალური გამწოვი სისტემით - შესრულების ვადა 2026 წელის 1 იანვარი.“ მითითებული ვადა საჭიროებს დაზუსტებას;
- გზშ-ის ანგარიშში აღნიშნულია, რომ „ტექნიკური წყლის მიწოდება ხდება მდ. მტკვარის მარცხენა სანაპიროზე არსებული სათავე ნაგებობიდან, ხოლო წყალმომარაგების წყაროდ გამოყენებულია შახტური ჭები.“ დაზუსტებას საჭიროებს რის საფუძველზე ხდება მდ. მტკვრის სათავე ნაგებობიდან/სატუმბი სადგურიდან წყლის აღება, ასევე შახტური ჭების ადგილმდებარეობისა და შესაბამისი ლიცენზი(ებ)ის შესახებ ინფორმაცია.

ტექნიკური სახის ხარვეზები:

- გზშ-ის ანგარიშში მოცემულია ურთიერთსაწინააღმდეგო ინფორმაცია, კერძოდ 4.1 ქვეთავში აღნიშნულია, რომ საწარმო მუშაობს სამი ცვლით (ცვლის ხანგრძლივობა 8 საათი), თუმცა ამავე თავში მითითებულია, რომ სამუშაო რეჟიმი 4 ცვლიანია, რაც საჭიროებს დაზუსტებას/კორექტირებას;
- გზშ-ის ანგარიშის ცხრილში 6.13.1 მოცემულ შენიშვნაზე - საწარმოსა და მიმდებარე ტერიტორიის მორწყვის პერიოდულობისა და გრაფიკის შესახებ ინფორმაციის სააგენტოში წარმოდგენასთან დაკავშირებით მითითებული კომენტარი - „ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული ძრავების გამოწვა ხდება თერმულ ღუმელში“, გაუგებარია და საჭიროებს დაზუსტება/კორექტირებას;

გარდა ამისა, გიგზავნით გზშ-ის ანგარიშთან დაკავშირებით სამოქალაქო მოძრაობის „გავიგუდეთ“ მიერ სააგენტოში წარმოდგენილ მოსაზრებებსა და შენიშვნებს.

გთხოვთ, 2 თვის ვადაში უზრუნველყოთ დაზუსტებული/დამატებითი ინფორმაციის სააგენტოში წარმოდგენა. აღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით დაზუსტებული ინფორმაციის წარმოდგენამდე სააგენტო მოკლებულია შესაძლებლობას იმსჯელოს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის თაობაზე.

დანართი: ელ. ვერსია

ვასილ გედევანიშვილი



სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

